KA021738100689915

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/19117

03 / აპრილი / 2015 წ.

შპს „ენერგომშენკონსტრუქცია XXI"-ს

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2015 წლის 25 მარტის №2015-01 წერილი და აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 07.04.2011წ-ის №9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი წერილში აღნიშნული საქონლის შესყიდვა, (ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს და შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი შესყიდვის განხორციელების გაჭიანურებას, რათა ხელოვნურად არ შეიქმნას შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობა) განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (არაუმეტეს გამოცხადებულ ტენდერში მითითებული ფასისა), კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ სახელმწიფო შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას უნდა განხორციელდეს ამ თანხმობის მიღებიდან გონივრულ ვადაში.

ამასთან განგიმარტავთ, რომ პასუხისმგებლობა კანონმდებლობისა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის. შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
LEPL "NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY"